საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება № 594

თბილისი „13“ 05 2019 წ.

„„კულტურის ხელშეწყობის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 24 იანვრის N71 ბრძანების ფარგლებში ჩასატარებელი კონკურსის - „უსაზღვრო შესაძლებლობები“ გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების, განცხადების, საკონკურსო განაცხადის, საკონკურსო განაცხადის დაზუსტების და ანგარიშის წარმოდგენის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორის მინისტრის 2019 წლის 22 თებერვლის N208 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის უფროსის 2019 წლის 02 მაისის N502713 მოხსენებით ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „„კულტურის ხელშეწყობის“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 24 იანვრის N71 ბრძანების ფარგლებში ჩასატარებელი კონკურსის - „უსაზღვრო შესაძლებლობები“ გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების, განცხადების, საკონკურსო განაცხადის, საკონკურსო განაცხადის დაზუსტების და ანგარიშის წარმოდგენის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორის მინისტრის 2019 წლის 22 თებერვლის N208 ბრძანებაში და ბრძანების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული საკონკურსო პირობების (დანართი N1-ის):

ა) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. კონკურსის პირობები

1. კონკურსი გაიმართება ორ ეტაპად: 2019 წლის აპრილი - დეკემბერი და ივლისი - დეკემბერი.

2. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს (შემდგომში კონკურსანტი);

3. კონკურსანტს, კონკურსის თითოეულ ეტაპზე შეუძლია მხოლოდ ერთი პროექტის წარმოდგენა.

4. საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე. უცხოენოვანი დოკუმენტაციის არსებობის შემთხვევაში აუცილებელია ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი.

5. კონკურსში:

ა) პირველ ეტაპზე, წარმოდგენილი პროექტის დაწყების თარიღი განისაზღვრება არაუადრეს 2019 წლის 25 აპრილისა, ხოლო დასრულების თარიღი - არაუგვიანეს 5 დეკემბრისა.

ბ) მეორე ეტაპზე წარმოდგენილი პროექტის დაწყების თარიღი განისაზღვრება არაუადრეს 2019 წლის 10 ივლისისა, ხოლო პროექტების დასრულების თარიღი - არაუგვიანეს 2019 წლის 10 დეკემბრისა.

6. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) მიერ კონკურსის ეტაპებისათვის გამოყოფილი ბიუჯეტი შეადგენს:

ა) პირველი ეტაპისათვის -200 000 ლარს;

ბ) მეორე ეტაპისათვის -100 000 ლარს'

7. გამარჯვებული კონკურსანტების რაოდენობასა და თითოეული პროექტის დაფინანსების თანხის ოდენობას განსაზღვრავს საკონკურსო კომისია."

ბ) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) პროექტის განხორციელების შემდეგ, პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია სამინისტროს წარმოუდგენს ანგარიშს პროექტის განხორციელების შესახებ დანართი N4-ის შესაბამისად - ხარჯვის დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად.

ხარჯვის დამადასტურებელ ფინანსურ დოკუმენტაციაში, მათ შორის:

- ხელშეკრულება (შესყიდვის, შრომითი);
- მიღება-ჩაბარების აქტი (საქონლის, მომსახურების);
- გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (საგადახდო მოთხოვნა)

მითითებული უნდა იყოს დაფინანსების წყარო „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო" და პროგრამის დასახელება ,,კულტურის ხელშეწყობა" (პროგრამული კოდი 32 10 02)."

გ) მე-5 მუხლის:

გ.ა) მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულ ხარჯთაღრიცხვაში მუხლთაშორისი ცვლილებები დასაშვებია ხარჯთაღრიცხვის 10% - ის ფარგლებში, გარდა საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად „შრომის ანაზღაურების" და „წარმომადგენლობითი ხარჯების" მუხლებში თანხების დამატებისა."

გ.ბ) მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^1 პუნქტი:

„4^1. ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის პუნქტის აღწერილობაში (10%-ის ზემოთ) რაიმე ცვლილების ან ხარჯთაღრიცხაში ახალი პუნქტის დამატების შემთხვევაში დაფინანსების მიმღები პირი ვალდებულია, აღნიშნული საკითხი წინასწარ წერილობით შეათანხმოს სამინისტროსთან."

გ.გ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. პროექტის დასრულების შემდგომ, კონკურსში გამარჯვებული პირი ვალდებულია სამინისტროში წარმოადგინოს საბოლოო ანგარიში დანართ N4-ის შესაბამისად, თანდართული ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, რომლებშიც სავალდებულოა დაფინანსების წყაროდ დაფიქსირდეს „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო", პროგრამა ,,კულტურის ხელშეწყობა" (პროგრამული კოდი 32 10 02)."

დ) მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. კონკურსის ვადები

1. საკონკურსო განაცხადები მიიღება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში, მისამართზე: თბილისი, სანაპიროს ქ. N4, ან თბილისი, უზნაძის ქ.N52:

ა) **კონკურსის I ეტაპზე** - 2019 წლის 25 თებერვლიდან 15 მარტის 15:00 სთ-მდე;

ბ) **კონკურსის II ეტაპზე** - 2019 წლის 10 მაისიდან - 24 მაისის 15:00 სთ-მდე.

2. განაცხადის წარმოდგენასთან და კონკურსთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე სამინისტროში კონსულტაციები გაიმართება მისამართზე: თბილისი, სანაპიროს ქ. N4:

ა) **კონკურსის I ეტაპზე:**

2019 წლის 27 თებერვალს 14:00 სთ-ზე;

2019 წლის 4 მარტს 14:00 სთ-ზე;

ბ) **კონკურსის II ეტაპზე:**

2019 წლის 14 მაისს 14:00 სთ-ზე;

2019 წლის 20 მაისს 14:00 სთ-ზე;

3. ინფორმაცია კონკურსში, გამარჯვებული პროექტების შესახებ გასაჯაროვდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ვებგვერდზე - www.mes.gov.ge :

ა) პირველ ეტაპზე გამარჯვებული პროეექტების შესახებ არაუგვიანეს 2019 წლის 15 აპრილისა;

ბ) მეორე ეტაპზე გამარჯვებული პროექტების შესახებ არაუგვიანეს 2019 წლის 1 ივლისისა.

4. კონკურსის დასრულების შემდეგ, საკონკურსო განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია სამინისტროს მიერ კონკურსანტს უკან არ დაუბრუნდება."

2. დაევალოს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

მიხეილ ბატიაშვილი